



საქართველო

ოთხშაბათი, 22 მაისი. 2024 წ. №60 (9740) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ქართული რესპუბლიკა

ამერიკაში რაციონალურმა აზრმა უნდა გაიმარჯვოს!



ჯო უილსონი

ურთიერთობების თვისებრივად გადაღობვა ჩვენს პარტნიორებს მაქსიმუმ ერთ წელიწადში შეუძლიათ. თუ ისინი ამას გააცნობიერებენ, ურთიერთობები კალინან სწრაფად დაღობება, მაგრამ, თუ საქართველოს მიმართ იგივე მიდგომებით განაგრძობენ მოქმედებას, ამით საქართველოს ინტერესებს დააზარალებენ და ამერიკისასაც.

ამდენი მოღალატე არასოდეს გვყოფილა!



„310-ე“ ქართული სირსხვილი

309 ქართული სირსხვილი, რომელიც აღწერა და შეაჯამა მამამ, ლევან სანიკიძემ, ბედის ირონიით გამგრძობელი და 310-ე მოქმედი პირი უვილი, გუბაზი გახდა, კოლაქტიურ გუბაზებთან ერთად...

ღვთისა და მამულისთვის თავშეფირული



გიორგი გამბახიძე

ცნობილი პუბლიცისტის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას უახლოესი თანამებრძოლისა და მეგობრის ჯემალ დავლიანიძის წერილში – „ღვთისა და მამულისათვის თავშეფირული“, რომლის გამოქვეყნებაც გაგრძელებებით გაზეთის დღევანდელ ნომერში ვიცნობთ, ზევრი აქამომდის უცნობი ფაქტებია აღწერილი, რომელსაც მკითხველი პირველად წაიკითხავს. ჯემალ დავლიანიძე პარალელს ავლებს დღევანდელ და ოცდაათი წლის წინანდელ მოვლენებს შორის, რომლებმაც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს უმძიმესი სამოქალაქო ომი გამოიწვია, რასაც მოჰყვა კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობა. რატომ გვაქცია ზურგი დასავლეთმა? რატომ წაუყრია მოსახლეობის 99 პროცენტით არჩეული პრეზიდენტის მკვლელობას? რა უნდა გავითვალისწინოთ დღეს, როდესაც ვითარება კვლავ ტყუპისცალივით ჰგავს 90-იანი წლების დასაწყისს?..

აღიარებული ეკვლავარი



საქართველოს განსვლავული ისტორიის შემოქმედი

გვიმრავლოს!



სისხლი სისხლის წილ

მართლაც რომ უნიკალური ძიუდოსტია ტატო მრინგალაშვილი, რომელიც გუშინ ზედიზედ მეოთხედ(!) გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში და ზედიზედ მესამედ გახდა ვვირგვინოსანი! აღსანიშნავია, რომ 81 კგ წონითი კატეგორიის ფინალში ტატომ დასაწყისშივე გაიტეხა თავი რუს თემურ არბუზოვთან, რის გამოც რამდენჯერმე დასჭირდა ექიმთა დახმარება, მაგრამ ძირითადი დროის ამონურვამდე 10 წამით ადრე მაინც მოასწრო მეტოქის იპონზე დავდება, რითიც დიმიტრი გორილაძის გამო რევანში აიღო, ვინც ნახევარფინალში არბუზოვმა დაგვიმარცხა. დღეს აბუ დაბის ტატამზე გიორგი ჯამნიაშვილი იჭიდავებს, ხვალ – გურამ თუშიშვილი და საბა ინანეიშვილი, ხოლო ზევ გუნდური ტურნირია.



ირანი გლოვობს!



ირანის პრეზიდენტის იბრაჰიმ რაისისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჰოსეინ ამირ-აბოლაჰიანის გარდაცვალება ირანის ოფიციალურმა პირებმა დაადასტურეს.

ირანის პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად, მორტზე აღმოსავლეთ აზერბაიჯანის პროვინციის გუშერნატორი და იმამიც იმყოფებოდნენ.

ირანის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის სიკვდილის შემთხვევაში მის ფუნქცია-მოვალეობებს ვიცე-პრეზიდენტი მუშავდება.

ირანის პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად, მორტზე აღმოსავლეთ აზერბაიჯანის პროვინციის გუშერნატორი და იმამიც იმყოფებოდნენ.

ირანის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის სიკვდილის შემთხვევაში მის ფუნქცია-მოვალეობებს ვიცე-პრეზიდენტი მუშავდება.

ირანი ავიაკატასტროფაში დაღუპული პრეზიდენტისა და სხვა მაღალჩინოსნების დაკრძალვისთვის ემზადება.

პრეზიდენტ რაისის გარდაცვალების გამო ირანში 5-დღიანი გლოვა გამოცხადებული. პარალელურად კი მზადდება დაიწყო საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, რომელიც 28 ივნისს გაიმართება.

პაპის სასამართლო ისრაელის წინააღმდეგ



სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარი პროკურორის, კარიმ ხანის მიერ ისრაელის პრემიერის, ნეთანიაჰუსა და თავდაცვის მინისტრის, იოაჰ გალანტის დაპატიმრების ორდერების მოთხოვნას აღმამოთმეტი უნდა დაემატებინა ნეთანიაჰუმ და აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება სასამართლოზე სირცხვილის საშუალო კვალს დატოვებს.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის კარიმ ხანის აღმამოთმეტი გადაწყვეტილება ისრაელის დემოკრატიულად არჩეული ლიდერების დაპატიმრების ორდერების მოთხოვნის შესახებ ისტორიული მასშტაბის მორალურ აღმამოთმეტი იწვევს.

შეგახსენებთ, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა კარიმ ხანმა ისრაელის პრემიერ-მინისტრის, თავდაცვის მინისტრის, სხვა მაღალჩინოსნებისა და „ჰამასის“ ლიდერების დაკავების ორდერის გაცემა მოითხოვა.

უპირობო მუხილობა!

თბილისის მერი და „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი მასშვიდის წარმომადგენლებს ესაუბრა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე.

„პროტესტი, რაც წინა დღეების განმავლობაში იყო, ცხადია მართულია. ვიცით, ამ ყველაფერს უკან ვინ დგანს - კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უცხოეთიდან ფინანსდებიან.“

რადიკალად, დამუხილვით, დაელოდეთ მოახლოებულ არჩევნებს!

სურათები, რომელსაც „ხატაფენ“ ახლა თბილისისა და საპარტოლო სხვა ქალაქში აჩვენებს, მართლაც რომ შთაბეჭდილებას ატოვებს.

საჩუქრად, მტრებმა შეძლეს და ახალგაზრდების უმრავლესობა დაარწმუნეს მთავრობის ევროკავშირისაკენ მიმართული პოლიტიკის დასაბუთება.

დღემდე, ამ ოცდაათი წლის განმავლობაში, რამდენი არც თუ ისე დახვეწილი კანონი შემოიღო ამა თუ იმ მთავრობას ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე და ახლა რა დაემართათ? განა, ამ მთავრობის დამსახურებით არ მოვიპოვეთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი?

ჩაითრის, გამჭვირვალობის კანონი ათვალისწინებს, ხალხის უმრავლესობა დაამინებს, ამ კანონის მიღებით უცხოეთიდან თანხები არ გადმოგვიცხვებოთ.

საქართველოში, ყოველგვარი უცხოურისადმი თავყვანისცემით გაუღიანილი ახალგაზრდები გამოიყენეს, კანონპროექტს „რუსული“ დაარქვეს, ამით ორი კურდღლის დაჭერა სცადეს.

საქართველოში, ყოველგვარი უცხოურისადმი თავყვანისცემით გაუღიანილი ახალგაზრდები გამოიყენეს, კანონპროექტს „რუსული“ დაარქვეს, ამით ორი კურდღლის დაჭერა სცადეს.

კახა კალაძე:

უპირობო მუხილობა!

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი წამგებიანია. არასდროს ამ ქვეყანაში რადიკალიზმი არ დავერ გიმარჯვებს. თუ ვინმეს უნდა ხელისუფლების ცვლილება, არ მოსწონს აღნიშნული კანონი, ამისთვის არსებობს არჩევნები.

ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ ქვეყანაში მშვიდობა შენარჩუნდეს და არ მოხდეს ის, რაც უკრაინაში მოხდა. მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“ და იმ პოლიტიკას, რომელსაც ეს პარტია ატარებს.

კვირფასო ახალგაზრდებო, ერთობა, რა თქმა უნდა!



ნათუ გგონია, რომ ქართველი ხალხი, საქართველო ნამდვილ ვეროპოლეს, ჩვენს ნამდვილ მოკავშირეს მოხიბლავს? სწორად ასეთი გგონია, გზოქრობით და ერთმანეთზე მტრობით არაუფრო საქართველო უნდათ ჩვენს შინაურ მტრებს დაანახონ ვეროპოლეს, აფრიკასაც, რათა მათი დახმარებით გადაგვადონ ვეროპოლეს გზიდან არ დაიხიზიან და რველოუსში გზით დაახიზიან მთავრობასაც. თუ ეს ასე არ არის, მაშინ რატომ არ გგონიდებოდნენ და რატომ არ ელოდებოდნენ მოახლოებულ არჩევნებს?

ხალხი ძალიან შეწუხებულია, ევროკავშირში შესასვლელად მზადების ნაცვლად რას ვიქვით, სად არის ჩვენი ჭკუა, ნიჭი და გამოცდილება? ევროპული ნესრიგის, ეკონომიკის ზრდის,

ცოდნის გაღრმავებისა და სხვა მრავალი სიკეთებისთვის მუხილხუხრელი შრომის ნაცვლად თვეობით, თითქმის ყოველდღე ეწყობა დემონსტრაციები, თუ დემონსტრაცია ჰქვია აურზაურს, ცემა-ტყუპას, პოლიციელების მისამართით გინებას, ქვეყნისა და ბოთლების სროლას, პარლამენტის შენობაზე თავდასხმას, მტვრევას, მსხვერველს, ცეცხლის დანთებას, საავტომობილო ტრასების გადაკეცივით მოქალაქე მძღოლებზე ძალადობას, პოლიციელთა კორდონში შევარდნას და სხვა ბევრ უკეთურობას!

ამ დღეებში, ევროპის და ამერიკის სხვადასხვა ქალაქებშიც ვნახეთ დემონსტრაციები და ისიც ვნახეთ, როგორ უსწორდებიან აგრესიულ მონანილებებს სამართალდამცველები. ამაზეც დავფიქრდეთ და დავფიქროთ ჩვენივე მოკავშირე დემოკრატია, დავფიქროთ ჩვენი ქვეყანა.


საბოლოო ღონისძიება, სიტყვა-მოთხრობა, სიტყვა „ერთობა“ შესანიშნავი სიტყვაა, ტევადი, შინაარსიანი. მაგრამ დიდზე დიდია ქართველი ხალხისთვის ილია ჭავჭავაძე, ადამიანი, თითქმის დაკარგული ენა და ეროვნება სასწაულებრივად რომ დაიხსნა, შემოაბრუნა და ქართულ გზაზე დააყენა.

ქვირფასო ახალგაზრდებო, გამოიყენეთ თქვენი ცოდნა, თქვენი განათლება სამშობლოსთვის, სიყვარულისთვის, ერთობისთვის. კარგად დაუკვირდით, რა ჯობს დღეს ქვეყნისთვის, ჯანყი და არეულობა, ერთმანეთის ლანძღვა, მუქარა და გინება თუ ერთობა და მშვიდობა.

ქალაქიან მომწონს თქვენი სლოგანი - ერთობა! ვიცით ერთმანეთის ერთგულები და მუდამ გვახსოვდეს - მამული, ენა, სარწმუნოება!



გულთაძის მილოცვა



თქვენ გამშვენებთ შესანატრი თავმდაბლობა, უბრალოება, სიკეთე. ყველა ღირსებით საესე ხელმძღვანელს განსაკუთრებით გსიამოვნებთ ახალგაზრდა სპეციალისტების გვერდში დგომა და თითოეულ მათგანში მაღალი პროფესიული ჩვევების ჩამოყალიბება.

ბატონო ომარ, კიდევ ერთხელ გილოცავთ 24 მაისის ნათელ დღეს, თქვენს ღირსეულ იუბილეს და გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და დიდ მდინიერებას.

ინსტიტუტ „საქგზამეცნიერებას“ შრომითი კოლექტივის სახელით გენერალური დირექტორი, აკადემიკოსი თამაზ შილაკაძე

ახსაბადში შოთა რუსთაველის მემორიალი გაიხსნა

თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში კულტურის მინისტრების საერთაშორისო კონფერენციის მიმდინარეობის დღეებში კულტურული პარკ-კომპლექსი „მახტუკული ფრავი“ გაიხსნა.

თურქმენეთის მთავრობის გადაწყვეტილებითა და საქართველოს საელჩოსთან თანამშრომლობით პარკში, სხვადასხვა ეპოქისა და ეროვნების ცნობილ მოღვაწეთა მემორიალების გვერდით, შოთა რუსთაველის ძეგლი დაიდგა.

ძეგლის გახსნას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე იოსებ ბალათურია, თურქმენეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კონსტანტინე სამიაშვილი, თურქმენეთში აკრედიტებული დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, თურქმენეთის მთავრობისა და მექლისის, ასევე, კულტურისა და განათლების სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

იოსებ ბალათურიამ, კონსტანტინე სამიაშვილმა და საელჩოს თანამშრომლებმა ყვავილებით შეამკეს შოთა რუსთაველის ძეგლი. გახსნის



ცერემონიაზე თურქმენეთის აკადემიური თეატრის მსახიობებმა გამართეს ლიტერატურული წარმოდგენა, ნაიკითხეს ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“.

ალსანიზნაფია, რომ საერთაშორისო კონფერენცია მახტუკული ფრავის – გამოჩენილი მოაზროვნისა და პოეტის, 300 წლის იუბილეს მიეძღვნა.

თურქმენი ერის გამოჩენილი წარმომადგენელი, ფილოსოფოსი, თურქმენული ენის ფუძემდებელი, ლიტერატორი, ჟურნალისტი, პატრიოტი და მოაზროვნე მახტუკული ფრავი XVIII საუკუნეში მოღვაწეობდა. არსებობს მისი სახელობის საერთაშორისო ლიტერატურული პრემია. მახტუკული ფრავი აღიარებულია აღმოსავლური ლიტერატურის კლასიკოსად.

შპს „საქგზამეცნიერებას“ კოლექტივი დიდი პატივისცემით და სიყვარულით ულოცავს დაბადებულ 75 წლის იუბილეს, 24 მაისს, ინსტიტუტის გენერალური დირექტორის მოადგილეს, მთავარ გეოლოგს ბატონ ომარ პაპაშვილს და უსურვებს მას ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და გენერალურ ოჯახთან ერთად.

ბატონო ომარ, თქვენ ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1971 წლიდან დღემდე კეთილსინდისიერად ემსახურებით არჩეულ პროფესიას, თქვენ ბრძანდებით დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტი საინჟინრო გეოლოგიის დარგში და დიდია თქვენი წვლილი ინსტიტუტ „საქგზამეცნიერების“ მიერ დამუშავებული საპროექტო ობიექტების წარმატებით განხორციელების საქმეში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ანკარის №116 (თურქეთში)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაქიძე
597-22-07-04

შემომცემლობითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბაიძე
თეიმურ ძორიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორაბაშვილი,
ოკიაბატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანკარის ნომერი
GE90BG000000538329790

პოეტის პირი ლექსი

გედრება

მაისის დილა უღრუბლო ცაზე ამოიშარტა მზე დიდებული! კავკასიონი ვერცხლისფერად ელავს, ლამის მკერდიდან ამოხტეს გული!

ეს მისტიკაა! მახათას მთიდან, სვანურ „ლილეოს“ ისმის ჰანგები, სამოთხეში ხარ! გაითავისე, ოდეს ქართველად დაიბადებო!

უფალო, გვედრი! ხარ ყოვლისშემძლე! შექმენ სამყარო! – ჰქმენი ნათელი! ერს შენგან რჩეულს, მოჰყვინე მაღლი და შეაყვარე ქართველს ქართველი!

ვლადიმერ ჯანდუნიძე
15.05.2024

„დიდგორს“ სასამართლო ანსამბლის სტატუსი მიენიჭა

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტროს მხარდაჭერითა და კულტურის მინისტრის თეა წულუკიანის ინიციატივით, თვითმომქმედ ანსამბლ „დიდგორს“ გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ანსამბლის სტატუსი მიენიჭა.

კულტურის მინისტროს ინიციატივით, ამ უმნიშვნელოვანეს ფაქტს მიეძღვნა ანსამბლის კონცერტი, რომელსაც ესწრებოდნენ კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი ნინო ჭიპაშვილი, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე, ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელი დავით შანიძე, „საქართველოს სამეფო ნაციონალური ბალეტის“ დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი გელა ფოცხიშვილი.

ანსამბლ „დიდგორს“ პროფესიონალმა მომღერლებმა მუზეუმის სტუმრებისთვის საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორული ნიმუშები შეასრულეს და ხალხური სიმღერის გაკვეთილები ჩაატარეს.

„დიდგორი“ 2004 წელს შეიქმნა და მისი დებიუტი 2006 წელს შედგა. ანსამბლი აქტიურად საქმიანობს საქართველოსა და უცხოეთში. 2012 წლიდან „დიდგორი“ პროექტის „ჩემო კარგო ქვეყანავ“ ფარგლებში საქართველოს რეგიონებში მართავდა კონცერტებს ადგილობრივ მომღერლებთან ერთად. 2015 წელს ქართული სიმღერის პოპულარიზაციამ შეტანილი წვლილისათვის, ნომინაციაში „ახალი თაობა“, ანსამბლს გადაეცა ფონდ „ქართული გალობის“ ჯილდო და სიგელი.

საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალზე 2015 და 2016 წელს „დიდგორმა“ პირველი ადგილი დაიკავა.

ბანათლების მსოფლიო ფორუმში ქართველებს მონაწილეობა



საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გიორგი ამილახვარი, მოადგილე ნოდარ პაპუკაშვილთან ერთად, სამუშაო ვიზიტით ლონდონში იმყოფება, სადაც „განათლების მსოფლიო ფორუმში“ იღებს მონაწილეობას.

გიორგი ამილახვარი ორმხრივ შეხვედრებს გამართავს როგორც კოლეგა მინისტრებთან, ასევე ბრიტანული საგანმანათლებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებთანაც სამომავლო თანამშრომლობის გზებზე იმსჯელებს.

ლონდონში მიმდინარე „განათლების მსოფლიო ფორუმის“ მთავარ განსახილველ საკითხებს წარმოადგენს განათლების მიმართულეებით არსებული გამოწვევები, მათი გადაჭრის გზები, ხელოვნური ინტელექტი და თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორც განათლების სფეროს განვითარების მექანიზმები. მსჯელობენ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ და დანერგონ ეფექტიანად თანამედროვე მიღწევები სწავლების პროცესში.

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორი“
ე. ბაღდავაძის №3

UAC(უპაკ)070.4(479.22)
C-323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუძვეთავი მასალაზე დაიკავებება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომღვაწეო განახლებული ნომერი გამოვა ორშაბათს, 27 მაისს

	უხსოვრი პაპუკის ქარსი: აშუ ფორარი - 2.7536; პერო - 2.9940; ბრიტანული ბირჟის სტარტინგი - 3.4982; 100 რუბლი - 3.0261; თურქული ლირა - 0.0856; აზერბაიჯანული მანათი - 1.6194; 1000 სომხური დრამი - 7.0991.	აპრილი 22 მაისისთვის ალკონსაქსი საქართველო: ბაბი - ლამი +9, ღლე +23 შიშინი რაიონები - ლამი +4, ღლე +23 ანსაქსი საქართველო: ბაბი - ლამი +11, ღლე +29 შიშინი რაიონები - ლამი +8, ღლე +26 თბილისი: ლამი +12, ღლე +22	დაგვიკავით, მოგხედავთ: ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17 ელ. ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ვებ-გვერდი: www.sakresp.ge
--	--	---	---